# შუამავლები საუკეთესო მაგალითები არიან



# შუამავლები საუკეთესო მაგალითები არიან

muslim georgia
muslim Georgia international charity foundation

რსს გამომცემლობა



muslimgeorgia



muslim georgia
muslim georgia international charity foundation

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
ფერვინ აიშე იაშა

მხატვარი:
ოსმან თურჰან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენექშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთიფ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი



muslim georgia

# შუამავლები საუკეთესო მაგალითები არიან

რსს გამომცემლობა

# სარჩევი


ადამიანობა 9

პირველი ადამიანი, პირველი შუამავალი 19

ბავშვი, რომელიც თავის გამჩენს ეძებს 28

მისი სახელია მოთმინება 34

ყველაზე საყვარელი 42






muslim georgia



# ადამიანობა

ზეინეფმა დახურა წიგნი, რომელსაც კითხულობდა. ცოტა ხანი ყდაზე უსვამდა ხელს. თვალები გაშტერებოდა, წიგნში წაკითხული წინადადება ჩარჩა გონებაში:

"ცნობიერებავ, ადამიანთა ცნობიერებავ!

შენც ჩვენნაირი ადამიანი ხარ, მაგრამ ჩვენ რამდენადაც გვაკლიხარ, იმდენად შორს ვართ ადამიანობისგან." (ნეჯიფ ფაზილ ქისაქურექ, უდაბნოში ჩამოსული სხივი)

შენც ჩვენნაირი ადამიანი ხარ...შენც ჩვენნაირი ადამიანი ხარ...

ეს წინადადება გამუდმებით ახსენდებოდა და ამ დროს ძმის, ემრეს ხმამ დააფრთხო:

– დაიკო მოდი. მისაღებ ოთახში ყველა შევიკრიბეთ და შენ გელოდებით.

– კარგი ჩემო ემრე, ახლავე მოვალ.

ემრე კართან იდგა, თავი მოუჩანდა მხოლოდ. წასვლას აპირებდა და ამ დროს შევიდა დასთან ოთახში და მიუჯდა:

– დაიკო, დღეს ჩემი საუბრის რიგია და ძალიან ვნერვიულობ, – უთხრა.

და ძმას ჩაეხუტა და უთხრა:

– სიმართლე გითხრა, ძალიან მაინტერესებს რას აგვიხსნი. რაც არ უნდა ახსნა, ვიციყველაფერი გამოგივა. მოდი უფროსები აღარ ვალოდინოთ.

მისაღებ ოთახში რომ შევიდნენ, ოჯახის ყველა წევრი საკუთარ ადგილას იყო. ბებია და ბაბუა კუთხეში ორკაციან დივანზე ისხდნენ. მამა მათგან მარჯვნივ, დედა კი

კართან სავარძელში იჯდა. უფროსი ძმა მამასთან, იაცავზე დამჯდარიყო. უფროსი და და ემრეც უფროს ძმასთან რომ მივიდნენ, წრე შეიკრა.

ეს ოჯახური შეკრება ემრეს სკოლის წამოწყების შედეგი იყო. სკოლაში პროექტი წამოეწყოთ, "ჩვენ ერთი ოჯახი ვართ." ყველა ოჯახს გაუგზავნეს წერილი, რომელიც ამ პროექტის მიზანს ხსნიდა. მასწავლებელს ისე გულიანად აეხსნა ამ პროექტის მიზანი მოსწავლეებისთვის, რომ ბავშვებმა მთელი ემოციებით მიიტანეს ეს ამბავი ოჯახში. ემრეს კლასში ყველას დაეთანხმებინა ოჯახი, რომ ამ პროექტში მიეღოთ მონაწილეობა. სკოლაში ერთადერთი კლასი იყო, რომელმაც 100 პროცენტიანი მონაწილეობა აჩვენა. პროექტის ფარგლებში ოჯახის ყოველ წევრს უნდა გაეზიარებინა დანარჩენისთვის, წიგნიდან, ჟურნალებიდან ან გაზეთებიდან წაკითხული, რომელმაც მოხიბლა. ეს ასევე ისახავდა მიზნად, რომ ყველას საკუთარი აზრი გამოეთქვა წაკითხულზე. ასევე იმას ნიშნავდა ეს, რომ ოჯახის წევრები მინიმუმ 15 წუთს ერთად გაატარებდნენ. ემრეს ოჯახში, ბაბუას წყალობით ასეთი შეკრება ხშირად იყო. თუმცა ეს პროექტი ამ შეკრებას უფრო ინტენსიურს ხდიდა. ამის წყალობით, ყველა, ყოველ დღე რამეს კითხულობდა და ამაზე ფიქრობდა.

დღეს კი ემრეს რიგი იყო.

–შვილო, დღეს რა უნდა ვისწავლოთ შენგან? –ჰკითხა ბაბუამ ემრეს. დედამ და მამამ ერთმანეთს შეხედეს და გაეცინათ. ემრემ, რომელსაც ხელში კრიალოსანი ჰქონდა, წაიჩურჩულა:

–ღმერთო, ამ დღისთვის მადლობას გიხდი.



–მამა ვერ დაიჯერებთ რა უნდა მოგიყვეთ. დღეს მასწავლებელმა კარიკატურები დაგვირიგა, –თქვა. ქაღალდი, რომელიც ხელში ეჭირა გაშალა და ყველას სათითაოდ აჩვენა, თან ხსნიდა.

კარიკატურაზე ორი მეგობარი კედელზე ჩამომჯდარიყო, იმ ბავშვებს უყურებდნენ, რომლებსაც მაცჩი ჰქონდათ. კედელზე მსხდომი ბავშვებიდან ერთ–ერთს ცალი ფეხი არ ჰქონდა და მეგობარს ეუბნებოდა:

–იმაზე არ ვდარდობ, ფეხი რომ არ მაქვს, არამედ იმაზე თამაშისას ბავშვები ერთმანეთს პანღურს რომ ურტყამენ.

დაჯერება მართლაც ძალიან რთულია, თქვა მამამ. "რთული" სხვა მნიშვნელობით თქვა. იმ მნიშვნელობით, რომ დღესდღეობით ასეთი რამის დაჯერება რთულია.

–მამა ვფიქრობ და ნეტავ მე იმ ბავშვის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ასე ვიცყოდი?

–დღეს ასეთი დიადი აზრის ქონა ძალიან რთულია, თქვა უფროსმა ძმამ, მურათმა. ასეთი იდეალური მაგალითები ან წიგნებშია, ან ასეთ კარიკატურებში. ჩვენ ანგელოზი ან შუამავალი ხომ არ ვართ, ასე უნაკლო რომ ვიყოთ? ამ კითხვაზე მამამ უპასუხა:

–არ დაგავიწყდეს შვილო, რომ შუამავლებიც ადამიანები არიან.

ამ დროს ზეინეფმა წინადადება წარმოთქვა, რომელიც იმ დღეს წიგნში წაეკითხა და დამახსოვრებოდა:

–შენც ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგრამ...



თითქოს განძი ენახოს, მთელ ოჯახს აუხსნა, რაც წაეკითხა:



–დღეს წიგნის წაკითხვა დავიწყე, რომელიც ჩვენს შუამავალს აღწერდა და მწერალი მას ასე მიმართავდა:

"ცნობიერებავ, ადამიანთა ცნობიერებავ!

შენც ჩვენნაირი ადამიანი ხარ, მაგრამ ჩვენ რამდენადაც გვაკლიხარ, იმდენად შორს ვართ ადამიანობისგან."

ამის გაგონებაზე მამუას თვალები აუცრემლიანდა:

–აი ხომ ხედავთ, წაკითხული ლამაზი სიტყვებით ახსნას ვპოულობთ, –ოჯახს თავისი აღტაცება გაუზიარა და განაგრძო:

–მისმინეთ ბავშვებო. შუამავლებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ. ალლაჰს ისინი ადამიანებზე უფრო განვითარებულ არსებებად არ გაუჩენია. პირველი შუამავლიდან, ადემ (ა.ს.)–დან, ბოლოს, მუჰამმედ (ს.ა.ს)–მდე მოსულმა ყველა შუამავალმა ადამიანებს აუხსნეს, როგორი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. თან აუხსნეს და თან ისე იცხოვრეს, როგორც ხსნიდნენ.

მურათის მამამ, მაცონმა ჰაირიმ თქვა:

–მამა, რა კარგად ახსენი. ალლაჰი შენგან კმაყოფილი იყოს. ალლაჰმა შუამავლებს ამცნო, თუ როგორ უნდოდა, რომ ეცხოვრა ხალხს. მათ კი ყველა სირთულის მიუხედავად ამის მიხედვით იცხოვრეს. რწმენა ხომ იმას ნიშნავს, რომ ისე იცხოვრო, როგორც გწამს.

ემრე სასწრაფოდ ჩაერთო: –მამიკო, ჩვენ რისიც გვჯერა და ვიცით, თუ რეალურ ცხოვრებაში არ განვახორციელებთ, გამოდის რომ იმას არ ვაკეთებთ, რასაც რწმენა მოითხოვს. ასეა?

–სწორად აღნიშნე ემრე. მაგალითად: თუ ვამბობთ, რომ შუამავლების გვჯერა, უნდა ვიცოდეთ ისინი როგორ

ცხოვრობდნენ. მხოლოდ ეს არცაა საკმარისი. მათი ქცევები, რომლებსაც როგორც მაგალითი ისე გვასწავლიდნენ, ჩვენს ცხოვრებაში უნდა დავნერგოთ. ყველა შუამავლის ცხოვრება კაცობრიობისთვის რეცეპტივითაა.

ბებიამ ამოიოხრა და ისე თქვა, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა:

–იმ რეცეპტების წაკითხვა რომ შეგვეძლოს, ანუ ის ქცევები ჩვენს ცხოვრებაში რომ დავნერგოთ, აი მაშინ გვექნება ის თვისებები, რომლებიც ალლაჰს სურს რომ გვქონდეს...

–საყვარელო დედიკო, –ჩაერთო ქალბატონი აიშე და განაგრძო:

–მართალი ხარ. ღმერთს თავისი მორჩილი მასწავლებლის, გზის მაჩვენებლის გარეშე, მარცხსტელი არ მიუტოვებია, ასობით შუამავალი გამოუგზავნა. იქიდან გამომდინარე, რომ ყურანი ქერიმში ხსენებული 28 შუამავლის და შუამავლების ჯაჭვის ბოლო რგოლისა და ყველაზე საყვარელი შუამავლის მსგავსი მაგალითებია მოყვანილი, სულაც არ უნდა იყოს რთული იყო ადამიანი. ყველა საკითხში ჩვენი მაგალითი და დამხმარე არიან, მოთმინება, პატიოსნება, თანაგრძნობა, დახმარება, შრომისმოყვარეობა, ცოდნა... აი თუნდაც ის, რომ ჩვენს შუამავალს არასდროს დაუწუწუნია, მიუხედავად იმისა რომ ბევრი ტანჯვა გამოიარა. თანა არავინ გაუნაწყენებია.

–ჩემო ემრე, იმ ბავშვს კარიკატურიდან უსწავლია, რომ თავისი მდგომარეობის გამო არ დაიწუწუნოს. ნამდვილი კოჭლობა ფეხის არქონა არაა. შენი აზრით ვისგან

აიღო მაგალითი, რომ გაეაზრებინა, ნამდვილი კოჭლობა მეგობრისთვის პანდურის ამორცმაა?

–ჩვენი შუამავლისგან?

–რა თქმა უნდა... ალბათ წიგნებიდან, რომლებიც ჩვენი შუამავლის ცხოვრებას აღწერს, ან კიდევ უფროსისგან, რომელმაც მისი ცხოვრება მაგალითად აიღო და ისე ცხოვრობს... თუმცა დავიმედდეთ, რომ მთავარი წყარო ჩვენი საყვარელი შუამავალი და ყურანი ქერიმია...

–ჩემს მიერ წაკითხულ წინადადებას ახლა უკეთ ვხდები, –ჩაერთო ზეუნეფი და განაგრძო:

–შუამავლებიც ადამიანები იყვნენ და ჩვენც ადამიანები ვართ. თუმცა ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც ალლაჰი თეღალას სურს. ამიტომაცაა რომ ყველა სირთულეს უმკლავდებიან. ჩვენ ვიცით როგორები უნდა რომ ვიყოთ, მაგრამ როგორც კი სირთულეს გადავეყრებით, მარცივ გზას მივმართავთ.

–მათი სიყვარული და მათდამი რწმენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც შევეცდებით მათსავით კარგი, პატიოსანი, შრომისმოყვარე და ქველმოქმედი ვიყოთ. ხომ ასეა დაიკო? –თქვა ემრემ.

–ჩემო ემრე, შენი ნათქვამის მერე ვერაფერს დავამატებ, –უპასუხა ძმას ზეინეფმა.

–შესაძლოა ვინმეს აქვს რამე სათქმელი. რას იტყვი ბატონო მურათ, როდესაც ვამბობთ, რომ გვჯერა არსებობისთვის რაცაა საჭირო, ესენი არ უნდა განვახორციელოთ? ამისთვის აუცილებალია შუამავალი ან ანგელოზი ვიყოთ?–თქვა ბატონმა ჰაირიმ და ვაჟს თვალი ჩაუკრა.

მურათმა ცოტა დარცხვენილი, ამავდროულად საკუთარ თავში დარწმუნებული ხმით  თქვა:

–მართალი ხარ მამა. ჩვენ მართლაც რომ გვჭირდება მათი გაცნობა. სიმართლე რომ ვთქვა, ემრეს წამოწყებული ამ შეკრებებით თავდაპირველად არ მოვხიბლულვარ და

მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ მისთვის გული არ გამეტეხა. ახლა დავფიქრდი და ვიდრე ჩემი საუბრის რიგი დადგება, ერთ–ერთი შუამავლის ცხოვრებას წავიკითხავ და თქვენც გაგიზიარებთ.

ბაბუას სახე გაუნათდა და ვედრება წარმოთქვა:

–ჩემო მურათ, სულ ასეთი მნიშვნელოვანი სურვილები გქონდეს. უფრო მეტიც, რას იტყვით რომ ყოველ ჩვენგანმა თითო შუამავლის ცხოვრება წაიკითხოს და საღამოს ერთმანეთს გავუზიაროთ?

–კი მაგრამ შენ, ბებიამ, დედამ და მამამ ისედაც იცით, –თქვა ემრემ.

–არაუშავს, უეჭველად ჩვენც ბევრი რამ გვაქვს ჯერ კიდევ სასწავლი...

ზეინეფმა დიდი აღელვებით თქვა:

–მე ისედაც ჩვენი შუამავლის ცხოვრებას ვკითხულობ. შეიძლება მასზე მე მოვყვე? თუმცა იმის გამო, რომ ახლახანს დავიწყე, ცოტა დრო მჭირდება.

ბაცონმა ჰაირმა ზეინეფს დასამშვიდებლად უთხრა:

–ჩემო ზეინეფ, არ იდარდო. იმის გაზიარებაც კი საკმარისია, რასაც იმ დღეს წაიკითხავ. რიგის მიხედვით გავაგრძელებთ. ვიმედოვნებ, რომ რამადანის თვემდე ყველა დავასრულებთ შუამავლის ცხოვრებას.

–ჩემო ემრე, ხვალ ოჯახის წინაშე წარდგენის რიგი ვის უწევს? სიას გადახედე აბა, –თქვა ქალბაცონმა აიფერმა.

ემრემ დიდი მოწიწებით მომზადებული სია გადაშალა და შემდეგ ბაბუას გახედა. ბაბუამ ემრეს გაუღიმა და უთხრა:

–გასაგებია. როგორც ჩანს ჩემი რიგია. პირველი შუამავლით, ადამ (ა.ს.)–ით, ხომ არ დაგვეწყო შუამავლების ცხოვრების შესწავლა, ამა რას იცყვით? ყველა გამიზიარებს ადამ (ა.ს.)–ზე რაც იცის, შევთანხმდით?

–შევთანხმდით, –თქვა ემრემ. ჯერ ბაბუას კისერზე ჩამოეკიდა, შემდეგ კი იმ თაროსკენ წავიდა, რომელსაც ძმასთან ერთად იზიარებდა. წიგნებს შორის იმ წიგნის ძებნა დაიწყო, რომელიც დედამ დაბადების დღეზე აჩუქა. ის წიგნი შუამავლის ცხოვრებას აღწერდა, მაგრამ რომლისას? ქალბატონი აიფერი სამზარეულოში ჩაის მოსაცანად მიდიოდა და თან ფიქრობდა თუ რომელი შუამავლის ცხოვრება აეხსნა. მერათი მაშინვე იმ ბიბლიოთეკისკენ წავიდა, რომელიც სახლის ყველაზე მნიშვნელოვან ოთახად იყო მიჩნეული. შუამავლების ისტორიის წიგნის პირველი ტომის დათვალიერება დაიწყო. კიდევ კარგი დავალებები სკოლიდან მოსვლისთანავე დავწერე, ახლა შემიძლია ცოტა ხანი წიგნი ვიკითხო, –თქვა ზეინეფმა და წიგნს მიუჯდა. ეს სასიამოვნო აღელვება ოჯახის უფროს წევრებს ძალიან ახარებდათ.

## დაიმახსოვრეთ

შუამავლები, რომელთა სახელიც ყურანშია მოხსენებული:

ადამ, იდრის, ნუჰ, ჰუდ, სალიჰ, ლუთ, იბრაჰიმ, ისმაილ, ისჰაქ, იაქუბ, იუსუფ, შუაიბ, ჰარუნ, მუსა, დავუდ, სულეიმან, ეიუბ, ზულქიფლ, იუნუს, ილიას, ელიესა, ზექერია, იაჰია, ისა, მუჰამმედ (ს.ა.ვ.)



# პირველი ადამიანი, პირველი შუამავალი

მამუა, მაცონი ოსმანი, წლებია დილის ლოცვის შემდეგ არ იძინებდა. გათენებამდე ყურანი ქერიმს თან არაბულად და თან მისი თურქული მნიშვნელობით კითხულობდა. ამის შემდეგ შუამავლების ან მნიშვნელოვანი სულიერი პირების ცხოვრებას კითხულობდა. ბოლოს კი შეევედრებოდა, რომ საკუთარ შვილისშვილებსა და ყველა მუსლიმ ბავშვს რელიგია ესწავლათ და ალლაჰის გზაზე ადამიანებს დახმარებოდნენ.

მაცონ ოსმანს დაწყებითი სკოლა დაემთავრებინა. მამა ბავშვობაში გარდაცვლოდა, დედასა და და-ძმაზე რომ ეზრუნა იძულებული იყო ემუშავა. თუმცა სჯეროდა, რომ სწავლას ვერც ასაკი და ვერც ადგილმდებარეობა ვერ შეაფერხებდა. ამიცობმაც მეგობრობამ, რომელიც წიგნებთან დაამყარა, ისეთი რამეების სწავლის საშუალება მისცა, რაც ბევრმა არ იცოდა.

იმ დილითაც დილის ლოცვის შემდეგ ყურანი ქერიმი წაიკითხა. ფიქრობდა საღამოს, "ჩვენ ერთი ოჯახი ვართ" შეკრებაზე, ჰაზრეთი ადემი როგორ აეხსნა. ცოლს გახედა, მასაც დაესრულებინა ლოცვა და კრიალოსანს ითვლიდა.

–ჰაციჯე სულთან, ჩაფიქრებული ჩანხარ, ინშალლაჰ ავად არ ხარ, –მიმართა.

–მადლობა მაცონო ოსმან, მადლობა ღმერთს კარგად ვარ. შენც აღელვებული მეჩვენები.

–ალბათ საღამოს გამო აღელდი. ცოცხა ვორჭოფობ, შევძლებ თუ არა ბავშვებს პირველი შუამავალი, ადამი (ა.ს.), სათანადოდ ავუხსნა.

–ბატონო ოსმან, წლებია რაც ჩვენი შუამავლის, მუჰამმედის, ასევე სხვა შუამავლების ცხოვრებას კითხულობ, ხსნი და მათგან მაგალითის აღებას ცდილობ.

–ასე ნუ იცყვი ჰაციჯე სულთან. მაშინ როცა ბავშვები ასე გახალისებულნი არიან, რომ ისწავლონ, დრო რაც შეიძლება კარგად უნდა გამოიყენო. სათანადოდ უნდა ახსნა, რომ ალლაჰთანაც არ შერცხვე.

–მართალი ხარ ბატონო ოსმან, მაგრამ ნუ დარდობ. შენი ეს კარგი მიზანი და შრომა სათანადო შედეგს მოიცანს ინშალლაჰ.

ბატონმა ოსმანმა და ქალბატონმა ჰაციჯემ წიგნის კითხვა დაიწყეს. მანამდე კითხულობდნენ, სანამ ემრე მათ ოთახში შევიდა, კისერზე ჩამოეკიდა და საუზმეზე უხმო.

მთელმა ოჯახმა ერთად ისაუზმა. ბატონი ჰაირი სამსახურში, ბავშვები კი სკოლაში წასასვლელად გამოემშვიდობნენ. ყველამ ბებიასა და ბაბუას ხელზე აკოცა და მათგან დალოცვა მიიღო. ქალბატონმა აიშემ ქმარი და ბავშვები კარებამდე მიაცილა, წარმატებული დღე უსურვა და გააცილა.

ვახშმობის შემდეგ მთელმა ოჯახმა მისაღებ ოთახში ადგილი დაიკავა. ყველა ბაბუას უყურებდა. ბაბუამ "ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ" წარმოთქვა და დაიწყო:

–ჩემო საყვარლებო, ალლაჰმა ადამ შუამავლის გაჩენამდე ცა, შემდეგ კი ის სამყარო შექმნა, რომელიც აღვფრთოვანებს და ყვავილებით, მწერებით, ნაკადულებით, მთებითაა მორთული.

შემდეგ ანგელოზებს ამცნო, რომ მიწისგან ადამიანი უნდა გაეჩინა.

ემრემ ჰკითხა:

–მამუა, ანგელოზებიც მიწისგან გააჩინა?

–არა ჩემო საყვარელო. ანგელოზები სინათლისგან გაჩენილი არსებები არიან. რას ვამბობდი? ალლაჰმა პირველი ადამიანი და პირველი შუამავალი, ადემი, სამოთხეში გააჩინა. შემდეგ მას ყველაფრის სახელი ასწავლა. ანგელოზებმაც კი არ იცოდნენ ეს. მაშინ მიხვდნენ, რომ ადემი მათზე უპირატესი იყო.

აღელვებული ზეინეფი ჩაერთო:

–ანუ ალლაჰმა ადემ შუამავალი ცოდნით ანგელოზებზე მაღლა დააყენა. როგორც ჩანს ცოდნა ასე მნიშვნელოვანია.

–რა თქმა უნდა ჩემო ლამაზო გოგონა. ამ უპირატესობის საჩვენებლად, ალლაჰმა ანგელოზებს უბრძანა ადემ შუამავლის წინ მუხლი მოედრიკათ. ყველა ანგელოზმა შეასრულა ალლაჰის ბრძანება. ადემი წინაშე თავი დახარეს. მხოლოდ იბლისი აღუდგა ალლაჰის ბრძანებას.

–მამუა, ეს ხომ ეშმაკია?

–სწორედ ეგაა ჩემო ზეინეფ.

–კარგი მამუა და ისიც სხვებივით ანგელოზი არაა? რატომ აღუდგა ალლაჰის ბრძანებას?

–იმიტომ რომ საკუთარი თავი ადემზე უპირატესი ეგონა. მე ცეცხლისგან გამაჩინე, ის კი –ტალახისგან, ამბობდა. საკუთარი თავის ვინმეზე მაღლა დაყენება, როგორც შეცდომა, რომელიც ეშმაკმა დაუშვა, ადამიანებისთვისაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

–მამუა ეშმაკს რა მოუვიდა?

–ჩემო ემრე, ალლაჰმა ეშმაკი სამოთხიდან გამოაძევა.

–მამუა ეშმაკმა არ ინანა?

–არა შვილო, არ უნანია. პირიქით, ადემ შუამავალი დაადანაშაულა. გეგმის შედგენა დაიწყო, რომ ისიც სამოთხიდან გამოეძევებინათ. ალლაჰმა ადემისთვის, რომელიც მარტო იყო სამოთხეში, მეწყვილე, ჰაზრეთი ჰავვა (ევა) გააჩინა. სამოთხის ყველა წყალობა მათ უბოძა. მხოლოდ ერთი ხის ნაყოფი აუკრძალა. ადემი და ჰავვა ეშმაკის შესახებ გააფრთხილა. უთხრა, რომ ეშმაკი მათი ყველაზე დიდი მტერია და მისთვის არ დაეჯერებინათ.

დაინტერესებულმა ემრემ ჰკითხა:

–არ დაუჯერეს, ხომ ასეა?

–თავდაპირველად არ დაუჯერეს და გააძევეს. ალლაჰმა ადამიანს ჭკუა უბოძა კარგი ცუდისგან, სწორი არასწორისგან, სასარგებლო საზიანოსგან რომ გაერჩია და უნდოდა ეს გამოეყენებინათ. თუმცა ეშმაკი თავისი ცბიერებით ადემსა და ჰავვას თავგზას უბნევდა. ეშმაკი მევრჯერ მივიდა და უთხრა, რომ მათი სამოთხეში დარჩენა იმ აკრძალული ხის ნაყოფის ჭამაზე იყო დამოკიდებული. ცბიერებზეც კი დაიფიცა.

დამწუხრებულმა ზეინეფმა თქვა:

–რა თქმა უნდა, როდესაც ალლაჰზე დაიფიცებდა იფიქრებდნენ, რომ სიმართლე იქნებოდა. ბოლოს კი აკრძალული ხილი ჭამეს.

–სამწუხაროდ... როგორც კი ხილი ჭამეს, მაშინვე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და ინანეს. ალლაჰს პატიება სთხოვეს. "მე გითხარით, რომ თუ ეშმაკს მოუსმენდით და ცოდვას ჩაიდენდით სამოთხიდან გაგაძევებდით. ახლა

დედამიწაზე წახვალთ და თქვენს დარჩენილ ცხოვრებას იქ გაატარებთ." –უთხრა ალლაჰმა ადამს და ჰავვას და დედამიწაზე გამოაგზავნა.

–ალლაჰმა მათ არ აპატია?

–ალლაჰი ყველაფერს ხედავს, ესმის და იცის. ადამმა და ჰავვამ დედამიწაზე იმდენჯერ შეევედრნენ და პატიება სთხოვეს, რომ მათი ვედრება მიიღო. ისინი შეიწყალა ჩემო ემრე.

მურათი, რომელიც აქამდე ახსნილს დიდი ყურადღებით უსმენდა, ჰკითხა:

–კარგი მამუა და ამ ქვეყანაზე მხოლოდ ორმა რა გააკეთეს, რა ჭამეს, რა დალიეს, როგორ იცხოვრეს?

–ამ სამყაროში მოსვლისას ერთად არ ყოფილან შვილო. შემდეგ ალლაჰის ნებით არაფაცზე შეხვდნენ ერთმანეთს. დიდმა ალლაჰმა ადამ შუამავალი რომ გამოაძევა სამოთხიდან, მას ყველაფრის კეთება ასწავლა. დათესვა, მოსავლა, თავის დროს მკა, ხორბლის პურის კეთება, ცომის მოზელა და პურის გამოცხობა... ასევე ალლაჰის ბრძანებითა და ჯებრილ (ა.ს.)-ის წინამძღოლით ადამ (ა.ს.)-მა ქაბე ააშენა. ქაბეს შემოუარა და ჰაჯი გახდა.

–მამუა, ადამ შუამავალი ვისთვის გამოგზავნილი შუამავალი იყო?

–ჩემო ემრე, თავისი შვილების შუამავლად იქნა მოვლენილი.

–თავისი შვილების?

–დიახ, თავისი ბავშვებისთვის, რადგან მთელი კაცობრიობა ჰაზრეთი ადამისა და ჰაზრეთი ჰავვასგან და მათი შვილებისგან გამრავლდა.

მურათმა გადაწყვიცა ეკითხა, რაც წლებია აინცერესებდა:

–მამუა, ადემ შუამავლის მერე, პირველი შეცდომა ვინ დაუშვა, ალლაჰის ბრძანებას ვინ აღუდგა?

ამ კითხვამ ბებია ჰაციჯეც მოხიბლა:

–ჩემო ალლაჰ, შენ დაგვიცავი ჩვენ და ყველა მუსლიმი და–ძმა. ეს ბავშვები, ამ ახალგაზრდებს ნუ დააბნევ, არასწორი გზისკენ ნუ წაიყვან.

ამ ვედრებაზე ყველამ "აამიინ" თქვა. ქალბაცონმა აიფერმა ცრემლები ვერ შეიკავა.

მამუამ გააგრძელა საუბარი:

–მისმინე ჩემო მურათ, კარგი და ცუდი ადემ შუამავლის პირველი ორი ვაჟის შემდეგ სულ არსებობს. პირველი ვაჟი ქაბილი (კაენი), მეორე კი ჰაბილი (აბელი) იყო. კაენი აბელის მიმართ უკიდურეს შურს განიცდიდა და მისი მოკვლა განიზრახა. აბელმა, რომელსაც არ უნდოდა ცოდვის ჩადენა, უთხრა: "შენ ჩემ მოსაკლავად ხელი რომც აღმართო, მე ამ მიზეზით შენზე ხელს არ აღვმართავ." თუმცა კაენმა ის მაინც მოკლა.

ქალბაცონმა აიფერმა ჰკითხა:

–მამა, აბელის ქცევა ალლაჰის მიმართ "თაქვა"–ს მაჩვენებელი არაა?

–თქვა რა არის დედა?

–მორჩილების გაცნობიერება ჩემო ემრე. ამის წყალობით ადამიანის ცხოვრებას აზრი ეძლევა. შური, მოროცება, ღვარძლი და მსგავსი გრძნობები ადამიანს წამლავს, საუკეთესო წლებს ფუჭად კარგავს.

მამუა ასეთმა დაკვირვებამ გაახარა:

–ჩემო გოგონა, რა კარგად გადმოეცი. რა თქმა უნდა ამ ულამაზო გრძნობებით არც ჩვენი და არც გარშემომყოფების ცხოვრება არ უნდა გავანადგუროთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი შეიძლება შეცდეს.

აი დააკვირდით, ადემ შუამავალმაც კი შეცდომა დაუშვა. წრფელი გულით ითხოვა პატიება და ალლაჰმაც აპატია. ამიტომაა, რომ ჩვენს რელიგიაში უიმედობა არ არის. ჩვენი გამჩენი ჩვენგან გულწრფელობას მოელის.

მურათმა თქვა:

–ეს დიდი წყალობაა. ადამიანს შეუძლია მის გამჩენს შეეფაროს, დახმარება სთხოვოს, შეცდომას რომ დაუშვებს, პატიება სთხოვოს...

–ასახსნელი კიდევ ბევრია, მაგრამ უფრო სასარგებლო იქნება, თუ გაგრძელებას თავის დროზე ყველა წაიკითხავს და ისწავლის. რადგან ზოგიერთი რამის გასაგებად ცოტა გაზრდაა საჭირო, თქვა და ხელები ემრესკენ გაშალა.



ჩემო საყვარელო ბაბუა,– თქვა ემრემ. გაიქცა, ჩაეხუტა და უთხრა:

– არ იდარდო ბაბუა. მე მუდამ კარგი განზრახვით, მუდამ სიმართლის სწავლისა და მისახვედრად ვიკითხავ. ყველაფერს თავის დროზე ვისწავლი.

– ყოჩაღ ემრე, – უთხრა ბაბუამ. შემდეგ მეშია ჰაციჯეს მიუბრუნდა: ჰაციჯე სულთან, ხვალ შენგან რომელ შუამავალს ვისწავლით?

– რომ გითხრათ, რომ ეს იქნება შუამავალი, რომელიც ალლაჰის მობიძილ ჭკუას იყენებს, ფიქრობს, ბავშვობის ასაკში მის ირგვლივ მყოფთა რწმენას აკრიტიკებს... ბავშვი, რომელიც თავის გამჩენს ეძებს!





# გაფუჭი, რომელიც თავის გამჩენს ეძებს

წინა საღამოდან მოყოლებული ემრე მემია ჰაციჯეს არ ასვენებდა. ღამე მემიასთან დაწვა, გამუდმებით ეკითხებოდა, თუ რომელ შუამავლზე ისაუბრებდა. მემიამ ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც თავისი მეთოდი გამოყენა. შუამავლის სახელი არ უთქვამს, მაგრამ მისი ბევრი მახასიათებელი აღუწერა. მემია ემრეს რომ უხსნიდა, ემრეს ჩაეძინა. დილით რომ გამოეღვიძა მემიასთან იყო. მას ლოყებზე კოცნიდა. მაინც ცდილობდა გაეგო, საღამოს რომელ შუამავალზე ისაუბრებდა.

მემია ჰაციჯე საიდუმლოს არ ამხელდა. ის კითხვაზე პასუხის მყისვე გაცემის მაგივრად, დაინტერესებასა და პასუხამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას მშვენივრად ახერხებდა. საუზმის მაგიდა შეჯიბრად გადაიქცა. კითხვები და ვარაუდები მრავლდებოდა.

იმ დღეს სახლში მემია ჰაციჯეს ჰაჯობის მეგობრები უნდა მოსულიყვნენ. ყოველ პარასკევს ერთ-ერთი მეგობრის სახლში იკრიბებოდნენ, ყურანსა და მის თურქულ განმარტებას კითხულობდნენ.

ქალბატონმა აიფერმა სახლი მიალაგა. ჩაისთან ერთად რამე რომ შეეთავაზებინა, სამზარეულოში წავიდა მოსამზადებლად. ჰაციჯე მემიამ რძალს მიმართა:

–ჩემო გოგონა, თავს ნუ დაიღლი და ბევრს ნურაფერს მოამზადებ. ორი სახეობა საკმარისია, ზედმეტი ჯანმრთელობას ვნებს.

ქალბატონი აიშერი მისაღებ ოთახში შევიდა:

–საყვარელო დედა, ყველაფერს დაწვრილებით ფიქრობ. ალლაჰი იყოს შენით კმაყოფილი.

–ხომ ასეა ჩემო გოგონა, –თქვა ბებია ჰაციჯემ და რადიო ჩართო. რადიოშიც პარასკევის თემაც ის შუადღის ჩაფიქრება ხალი იყო, რომელსაც საღამოს ახსნიდა.

–ო, ალლაჰ, რამდენად დიადი ხარ. განზრახვისამებრ, რა კარგად გვაცხოვრებ, – თქვა და ალლაჰს მადლობა გადაუხადა. ბატონმა ოსმანმა მისი გრძნობების მიხვედრის ნიშნად, თავი დაუქნია. შემდეგ ცოლისგან ნება აიღო და ჩვეულებისამებრ, როგორც ყოველ პარასკევს მუკინისცი მეგობრისკენ, ბატონი ჰილმისკენ, გასწია.

მოგვიანებით, პარასკევი ლოცვის დრო რომ მოახლოვდა, ჰაციჯეს მეგობრებმა თითო ორორად იწყეს მოსვლა. ჰაციჯეს რჩევით იმ დღეს ყურანი ქერიმიდან ენბიასა და მერიემის სურა წაიკითხეს. ჰაციჯემ ისიც განმარტა, თუ რატომ ურჩია ამ სურეების წაკითხვა. ებრეს წყალობით დაწყებულ საღამოს შეკრებებზე მოუყვა.

–ასე მეც საღამოსთვის მოვემზადები, – თქვა. წამოწყებამ "ჩვენ ერთი ოჯახი ვართ" ბებია ჰაციჯეს ზოგიერთი მეგობარი მოხიბლა. ზოგმა კი თქვა, რომ მათ ოჯახში ეს ვერ განხორციელდებოდა, რადგან ვახშმობის მერე ყველა თავის ოთახში მიდიოდა. ზოგმა კი თქვა:

–მე შვილებსა და შვილიშვილებს ბაირამის დღესასწაულებზე ვხედავ ხოლმე. მათთან ყოველ საღამოს ვინ შეიკრიბება...

საღამოს ყველა ბებია ჰაციჯეს ირგვლივ შეიკრიბა. ჯერ აღელვებულმა ებრემ ჰკითხა:

–მუმია საუზმობისას თქვი, რომ "ბავშვობაში მამას რელიგიაზე ეკითხებოდა." ხომ ასეა?

–დიახ, რადგან მამამისი კერპებს ამზადებდა და ყიდდა. ისიც ფიქრობდა, ხალხი მათი ხელით შექმნილს როგორ ეთაყვანებოდა და ეკითხებოდა "ისეთ რამეებს, რომლებიც ვერ გისმენენ, ვერ გხედავენ და ვერანაირ სარგებელს მოგიტანენ, როგორ ეთაყვანები?"

–მუმია, ვიდრე მის კითხვას იტყოდი, რატომ წარმოთქვი ბისმილე?

–რადგან ეს კითხვა, სურა მერიემის, 46-ე და 47-ე აიათების განმარტებაა შვილო.

–მუმია, მამამ რა უპასუხა? – ჩაერთო ზეინეფი.

–"შენ ჩემს ღმერთებს ზურგს აქცევ? თუ არ გადაიფიქრებ, მე გამოგასწორებ. დიდი ხნით ჩამომშორდი!" –ასე უპასუხა ჩემო ზეინეფ.

–კარგი მუმია, ის როგორ მოიქცა, მამას გაუნაწყენდა?

–არა, ჩემო ემრე. "ნახვამდის! შენთვის ჩემს გამჩენს პატიებას ვთხოვ. უეჭველად, ის მე წყალობით შემამკობს." –თქვა და მამას და სხვებსაც, რომლებიც კერპს ეთაყვანებოდნენ, უთხრა მათთვის შეევედრებოდა, რომ ალლაჰი ეწამათ.

დაინტერესებულმა ზეინეფმა ჰკითხა:

–მუმია, შენ ამ აიების მნიშვნელობა ზეპირად საიდან იცი?

ბატონი ჰაირი საუბარში ჩაერთო:

–უფრო სწორი იქნება ამ კითხვას მე რომ ვუპასუხო. მე რაც თავი მახსოვს, დედა ყურანი



ქქრიმს როგორც არაბულად, ასევე თურქულ განმარტებასაც კითხულობს. მე არ მახსოვს, რომ დილის ლოცვის მერე დაიძინოს. თანაც წაკითხულ აიათებზე ფიქრობს. იმაზე, რომ თავის და შვილების ცხოვრებაში როგორ გამოეყენებინა.

დედა, ჩემი უნივერსიტეტში სწავლის პირველი დღე გახსოვს? შუამავალი, რომლის გამოცნობასაც ჩვენგან ელოდი, გვითხარი რომ იყო ბავშვი, რომელიც ფიქრობდა და გარშემო მყოფთა რწმენას აკრიტიკებდა. მამამ, რომელმაც მას არ დაუჯერა და გააგდო, მაინც თბილად ეპყრობოდა და ამით მაგალითი აჩვენა. განსაკუთრებით გაამახვილე ყურადღება, რომ მან რწმენა მაინც არ შეიცვალა.

–მამა, როგორც ჩანს შენ იცი ბებია რომელ შუამავალზეც საუბრობს.

–დიახ შვილო, ვიცი.

–მამა გთხოვ გვითხარი...

–ჩემი აზრით ბებია ცოტა ხანში ისედაც იცყვის... თუმცა ვიდრე ბებია იცყოდა თუ ვინაა, მე მოგიყვებოდით ის რამდენად ჭკვიანი იყო...

მურათი უფრო დაინტერესდა.

ბებია ჰაცინჯე ისევ ჩაერთო საუბარში:

–რა თქმა უნდა შვილო. აი მაგალითად: ერთ დღეს ქალაქის მოსახლეობა დღესასწაულის აღსანიშნავად მთებში წავიდა... მამამ შვილსაც შესთავაზა წასვლა, მაგრამ მან არ ისურვა. ყველა რომ წავიდა, აიღო ცული და კერპებისკენ გაემართა. ყველა კერპი დაამსხვრია. მხოლოდ ყველაზე დიდი კერპი დატოვა. ცული ამ კერპს ჩამოკიდა კისერზე. აი ასე ჭკვიანურად იბრაჰიმ (აბრაამი) შუამავალი მოიქცა.

ემრეს, ზეინეფსა და მურათს ძალიან გაუკვირდათ.

მათ ეგონათ, რომ იბრაჰიმ შუამავალს კარგად იცნობდნენ. მერათმა თქვა:

–მე ვიცოდი, რომ იბრაჰიმ შუამავლის ცეცხლში ჩაგდება და დაწვა ბრძანა იმ

31

დროის მმართველმა, ნემრუთმა. ვისწავლე, რომ ალლაჰის ბრძანებით ცეცხლმა იბრაჰიმ შუამავალი არ დაწვა და ცეცხლი ვარდის ბაღად გადაიქცა.

სინამდვილეში, ყველა ბავშვმა ის იცოდა, რომ იბრაჰიმ შუამავალს ყავდა შვილი, სახელად ისმაილი. მაშინ როცა მისი ალლაჰისთვის შეწირვას აპირებდა, ალლაჰმა შესაწირი ცხოველი გამოუგზავნა. იცოდნენ, რომ იმ დღიდან მოყოლებული მსხვერპლშეწირვის (ყურბანის) დღესასწაულზე, ადამიანები ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად მსხვერპლს (ყურბანს) კლავდნენ. ამ დღეს ახსნილი კი პირველად გაეგონათ. ყველამ აღლვებით ჰკითხა:

–შემდეგ მერე?

–შემდეგ კი ბავშვებო, დღესასწაულიდან დაბრუნებულნი კერპებთან მიდიან და კერპებს დამსხვრეულს რომ ხედავენ, ძალიან ბრაზდებიან. რახან იბრაჰიმ შუამავალს კერპების არ სჯეროდა, მასზე მიიტანენ ეჭვს. იბრაჰიმს მოძებნიან, იპოვიან და კითხავენ. იბრაჰიმ შუამავალმა ის კერპი აჩვენა, რომელიც არ დაამტვრია და ასე უპასუხა:

–მას ჰკითხეთ! ალბათ მან მოიმოქმედა. ცული მის კისერზეა.

ბავშვებმა გაიღიმეს. პასუხი ჭკვიანურად მიიჩნიეს.

–ეს პასუხი ხომ დააფიქრებს ადამიანებს ბავშვებო?

– თქვა ბატონმა ოსმანმა.

– დიახ, სწორედ ისე, როგორც ბებიას თხრობა, – თქვა ზეინეფმა და გაიღიმა.

– უეჭველად ამაში იუმორიც ურევია, – თქვა მურათმა.

– ჩემზე ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, რომ მამის კეთილდღეობისთვის, რომელმაც გააგდო, ევედრებოდა, – თქვა ქალბატონმა აიფერმა.

– ბავშვებო რამდენი რამეა აქედან სასწავლი და მაგალითის ასაღები, ხომ ასეა? – თქვა ბატონმა ჰაირმა.



# მისი სახელია მოთმინება

იმ დღეს მურათი ცოცათი განაწყენებული წავიდა სახლიდან. პირველი: მამას სთხოვა მობილური ტელეფონის გამოცვლა, თუმცა უთხრა, რომ რაც ჰქონდა ისიც საკმარისი იყო მისთვის. მეორე: ამ საღამოს, როდესაც მას ეიუფ (იობი) შუამავალი უნდა აეხსნა, გაიგო რომ მამას საღამოს საქმიანი შეხვედრა ქონდა და სახლში გვიან დაბრუნდებოდა. "ისედაც რაც არ უნდა ავხსნა, მამა არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ მომისმინოს." – თქვა და მაგიდიდან წამოდგა. პირველად წავიდა სახლიდან დამშვიდობებისა და უფროსების დალოცვის გარეშე. სწორედ ამიტომ იყო მოუსვენრად. გაკვეთილებს ვერ უსმენდა. ეს მათემატიკის მასწავლებელმა, ქალბატონმა ქადრიემაც შეამჩნია და შესვენებაზე დაუძახა, რომ დალაპარაკებოდა.

მასწავლებელთან რომ მიდიოდა, მოსასხამი კარის სახელურს გამოედო და სარჩული გაირღვა. "მოითმინე, ნუთუ დღეს ყველაფერი უკუღმა უნდა მიდიოდეს?" თავისთვის ჩაილაპარაკა.

ქალბატონ ქადრიესთან რომ მივიდა, სახე ჩამოსცვიოდა. მასწავლებელი მას ღიმილით შეხვდა. მას ყველაფერი მოუყვა. მასწავლებელმა მურათს რომ მოუსმინა, ყველაფერი ერთი წინადადებით შეაჯამა:

– ვფიქრობ, შენი მობილური ტელეფონი აღარ მუშაობს. მურათი ამაზე პირველად დაფიქრდა. ვერ მიხვდა რა ეთქვა. ენა დაება:



muslim georgia

–არა, მე მყოფნის. თუმცა, მეგობრებს შორის ყველაზე ძველი მოდელის ჩემი მობილური ტელეფონია, –აღიარა.

თავის პასუხს თვითონვე ვერ იჯერებდა. შეცდომას მიხვდა. მიხვდა რომ უფრო ძვირი და მეტი თვისებების მქონე მობილური ტელეფონის გამო მამა როგორ შეაწუხა და შერცხვა. მასწავლებელთან ცოტა ხნის საუბრის შემდეგ საკლასო ოთახში დაბრუნდა. გზამკვლევის საათის გაკვეთილი იყო და როლები უნდა გაენაწილებინათ სემესტრის ბოლოს დაგეგმილი სპექტაკლისთვის. "დღეს არაა ჩემი დღე." –ფიქრობდა მურათი.

მასწავლებელი ყველაფერს რომ ხსნიდა და როლებზე ესაუბრებოდა, მურათს სულ გადაავიწყდა თავისი დარდი და მასწავლებელს გულისყურით უსმენდა. ხოლო როდესაც საუბარი ურთას ღამეების გაცოცხლებასა და ეიუფ შუამავლის ცხოვრების ახსნაზე მიდგა, როლის ასაღებად უკვე ხელი აეწია.

როლი დაუმტკიცდა და ჰასან აღა გახდა. მეორე დღეს, შუადღის შესვენებისას კითხვის რეპეტიცია ექნებოდათ. ამის შემდეგ კი რაც შეიძლება მალე უნდა ესწავლა სიტყვები.

საღამოს სახლში რომ მივიდა, დედა ისე შეეგება, ვითომც არაფერი მომხდარა. ლოყაზე ისევ აკოცა და "კეთილი იყოს შენი მოსვლა" უთხრა. მისაღებ ოთახში ერთად შევიდნენ. ოთახში რომ შევიდა და შეამჩნია, რომ მხოლოდ ის და დედა



იყვნენ, ცოტა დამშვიდდა. დედა სკოლაში გაცარებული დღით



დაინცერესდა. მურათი ამ კითხვას ისედაც ელოდა. ერთი ამოსუნთქვით აუხსნა, რომ თეატრში როლი მიიღო და ჰასან აღა იყო, უროფის ღამეების გაცოცხლებისას კი ეიუფ შუამავლის ცხოვრებას მოყვებოდა.

–ყოჩაღ ჩემო ბიჭო, –შეაქო დედამ. მურათი ოთახში წასასვლელად წამოდგა და შეჩერდა. მიბრუნდა, დედას ჩაეხუტა და მისი დილის ქცევის გამო, ბოდიში მოუხადა. შემდეგ ბებიასა და ბაბუას ოთახისკენ წავიდა. მათ ხელზე აკოცა. მათაც შვილიშვილს ძლიერად მოეხვივნენ. არ ულაპარაკიათ, მაგრამ ამ ჩახუტებაში ბოდიშიც იყო და პატიებაც. მურათი ოთახში წავიდა და ტანსაცმელს იცვლიდა. ბედნიერი იყო, რომ ოჯახმა შეცდომა სახეში არ მიახალა. "აი რას ნიშნავს, იყო უფროსი." თავისთვის ჩაილაპარაკა. მამაც გაახსენდა. სინამდვილეში უნდოდა, რომ მასაც ჩახუტებოდა და ბოდიში მოეხადა, მაგრამ იმ საღამოს საქმიანი შეხვედრა ჰქონდა და გვიან დაბრუნდებოდა.

ვახშმობის შემდეგ, მისაღებ ოთახში შეიკრიბნენ. ბაცონი ჰაირის გარდა ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. მურათს ლაპარაკი უნდა დაეწყო და კარის ზარმა დარეკა. ზეინეფი კარისკენ გაიქცა.

–ვინ არის? –ჰკითხა.

–გააღე შვილო, მე ვარ, –თქვა ბაცონმა ჰაირიმ.

ზეინეფმა კარი გააღო, თან გახარებულმა და თან გაკვირვებულმა ჰკითხა:

–მამიკო დღეს ხომ საქმიანი შეხვედრა გქონდა და გვიან უნდა მოსულიყავი?

–დიახ, მაგრამ შენი უფროსი ძმის თხრობა რომ არ გამომეცოვებინა, შეხვედრა ცოტათი დავაჩქარე. შემდეგი შეხვედრისთვის საჭირო სამზადისის საქმეებიც

გადავანაწილე და დავასრულე.

ეს საუბარი მისაღებ ოთახშიც გაიგეს. განსაკუთრებით მურათს ძალიან გაუხარდა.

ქალბატონი აიფერი ქმრისთვის სუფრის გასაწყობად სამზარეულოსკენ აპირებდა წასვლას. ბატონმა ჰაირიმ უთხრა რომ არ შიოდა და ისევ თავის ადგილას დასვა. დედასა და მამას ხელზე აკოცა. თავისი ადგილი დაიკავა.

–მურათ შენ გისმენთ, –უთხრა. მურათმა მამის ხმა რომ გაიგო ფეხზე წამოხტა და ჯერ კიდევ ფეხზე იდგა.

–მამა, მადლობას გიხდი ადრიანად რომ მოხვედი და დღევანდელი საქციელისთვის ბოდიშს გიხდი, –უთხრა. "მოთმინების სწავლას დრო სჭირდება ახალგაზრდავ. ვფიქრობ იუსუფ შუამავლისგან მრავრი გვაქვს სასწავლი." –თქვა ბატონმა ჰაირმა.

მურათმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გააგრძელა:

–ძალიან მრავრი რამ ვისწავლე იუსუფ შუამავალზე.

–ერთი სიტყვით რომ მოგიწიოს იუსუფ შუამავლის დახასიათება, რას იტყოდი? –თქვა ზეინეფმა.

–მოთმინება, –უპასუხა მურათმა. უეჭველად, მოთმინება.

–მიდი აგვიხსენი ძამიკო, –მოუსვენრობა დაეტყო ემრეს.

–ცოტა მოითმინე, –უთხრა მურათმა. ყველას გაეცინა.

ძლიერ აღელვებულმა მურათმა დაიწყო საუბარი:

–იუსუფ შუამავალი ძალიან მდიდარი ყოფილა. მის ცოლს რაჰიმე ერქვა. შვილებთან ერთად, ერთ დიდ სახლში მშვიდობით ცხოვრობდნენ.

ისევე როგორც ყველა შუამავალი, რჩევებს, რომლებსაც ის ხალხს აძლევდა, თავდაპირველად თვითონ აკეთებდა. ბოძებული წყალობისთვის ალლაჰის მადლიერი იყო. ღარიბებს კვებავდა, მის კარს ვინც მიადგებოდა ხელცარიელს არავის უშვებდა, ყველას ეხმარებოდა. თუმცა ეშმაკი ადამიანებს ხომ გულში ეჭვს უნერგავს. ზოგიერთი ფიქრობდა, ეიუფ შუამავალი ასე მდიდარი რომ არ ყოფილიყო, მევრი პრობლემა რომ ჰქონოდა, ნეტავ მაინც იქნებოდა ალლაჰის

მადლიერი? ალლაჰს ხალხისთვის ეიუფ შუამავლის რწმენა რომ ეჩვენებინა, ძალიან დიდი სირთულეებით ცდიდა. ჯერ წყალდიდობა მოვიდა და მისი ცხოველები მთლად დახოცა, მოსავალი გაანადგურა. ის კი მაინც ალლაჰის მადლიერი იყო. ყველაფრის პატრონი ალლაჰია, მომცემიცა და წამრთმევიც ისაა, ამბობდა.

ამის შემდეგ მიწისძვრა მოხდა და მისი ყველა შვილი დაკარგა. მაინც ითმენდა. ალლაჰს არ ღალატობდა. შვილები შენ მოგვეცი, შენი ამანათი ისევ უკან წაიღე, ჩვენ მოთმინება გვიბოძე, –ევედრებოდა. ამხელა მოთმინების მნახველებს, რომლებსაც ეიუფ შუამავლის რწმენაში ეჭვი ეპარებოდათ, შერცხვათ და ალლაჰის რწმენა განუმტკიცდათ. ისინი კი, ვისაც ალლაჰი არ სჯეროდათ, ამხელა მოთმინებისა და რწმენის მაგალითზე ფიქრობდნენ, რომ ეიუფ შუამავლის სიცრუები სიმართლე იყო და ალლაჰის რწმენას ერთი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ.

ქალბატონ აიფერს კანკალი აუტყდა.

–ო, ალლაჰ, შვილის ტკივილით ნუ გამოგვცდი, –შეევედრა. ამ ვედრებაზე მთელმა ოჯახმა "აამიინ" წარმოთქვა.

–ო, ალლაჰ, შენ უკეთ იცი, რა უკეთესია ჩვენთვის. ყველაფერი სასარგებლო გვიბოძე. იუსუფ შუამავალივით შეგვაძლებინე პრობლემების გამკლავება, –მიმართა ბებიამ ალლაჰს. მთელმა ოჯახმა "აამიინ" წარმოთქვა.

ქალბაცონმა აიფერმა მურათს ჰკითხა:

–კარგი და ქალბაცონი რაჰიმეც ასევე მოთმინებას იჩენდა?

–დიახ დედა, რაჰიმეც ყველა გასაჭირს ითმენდა. უფრო მეცვიც, ისეთი დროც დგებოდა, რომ რაჰიმეს გაჭირვება უფრო ძლიერდებოდა. იუსუფ შუამავალს მთელი ცანი წყლულებით ეფარებოდა და ნაბიჯის გადადგმის ძალაც არ შესწევდა. ვერ მუშაობდა. ამ დროს კი, იმის მიუხედავად, რომ რაჰიმეს სახლში თავის დროს

მსახურები ჰყავდა, მდიდარი ხალხის სახლში მუშაობდა არსებობისთვის. ეს ყველაფერი ძალიან ამწუხრებდა იუსუფ შუამავალს, მაგრამ ითმენდა და ევედრებოდა. შიშობდა ავადმყოფობის გამო ღვთისმსახურება არ ჩაეგდო. ავადმყოფობის გამო ალლაჰს არ უჩიოდა, მხოლოდ იმას ევედრებოდა, რომ ავადმყოფობას ღვთისმსახურებისთვის ხელი არ შეეშალა. ამ მოთმინებისა და ერთგულებისთვის ალლაჰი მას დაკარგულ ყველაფერს უკან უბრუნებს. გამოაჯანმრთელებს, გაამდიდრებს და შვილებს მისცემს.

–აი ნამდვილი რწმენისა და მოთმინების საფასური, –თქვა ბაბუამ, ბაცონმა ოსმანმა და მხარი დაიჩილა.



–ჩვენ სათქმელი არაფერი დაგვიტოვე შვილო, – თქვა ბატონმა ჰაირმა და შვილს მიულოცა.

–ყველანაირი ბედნიერება სასარგებლო ყოფილიყოს შენთვის, ბედნიერებას მოთმინებით მიგეღწიოს, –თქვა ბებიამ, ჰატიჯე სულთანმა.

აღფრთოვანებული ემრე და ზეინეფი უფროს ძმას უყურებდნენ. დედამ, ქალბატონმა აიფერმა, ჰკითხა:

–დღეს თეატრის როლზე რომ დაგამტკიცეს, იქაც შუამავალ ეიუფზე ხომ უნდა ილაპარაკო?

–დიახ დედა, –უპასუხა დიდი სიხარულით.



# ყველაზე საყვარელი

იმ კვირის ბოლოსაც არ ისაუზმა გახარებულმა ზეინებმა და ისე წავიდა მეგობრებთან შესახვედრად. ღედის მომზადებული ზეთისხილის ზეთიანი ცომმა და მორევი ეჭირა ხელში. შეიმას, გულჯანსა და ილქნურს უნდა შეხვედროდა და ერთად დავრდომილთა საერთო საცხოვრებელში უნდა წასულიყვნენ. ეს ოთხი მეგობარი ორი კვირის მანძილზე, სახლში მომზადებული საჭმელებითა და წიგნებით დავრდომილთა საერთო საცხოვრებელში დადიოდნენ.

ისინი თავს იღბლიანად თვლიდნენ, რადგან ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ერთ სკოლაში დადიოდნენ. შეიმასა და ზეინების სახლი ერთმანეთი გვერდით იყო. გულჯანი და ილქნური კი ერთი ქუჩით უკან ცხოვრობდნენ. ახარებდათ მათი ერთსართულიანი სახლები, რომლებიც დიდი ქალაქის ერთ-ერთ უბანში საცხოვრებელ კორპუსებს ემიჯნებოდნენ.

ზეინები და შეიმა ერთმანეთს შეხვდნენ და ქუჩის დასაწყისში, მაღაზიის წინ ილქნურსა და გულჯანს ელოდებოდნენ. მაღაზიის პატრონმა, მაცონმა იჰსანმა, რომ დაინახა ბავშვები, უთხრა:

–ყოჩაღ ბავშვებო, არ გაითვალოთ, მონახულებას აგრძელებთ. მოხუცსა და უპატრონოებს მარცო არ ტოვებთ. მათ თბილად ეპყრობით. დაე ალლაჰიც ნუ დაგტოვებთ ნურასდროს მარტო.

ზეინებმა მიუგო:

–აამინ. ჩვენი შუამავალიც ხომ ასე გვირჩევს ბიძია იჰსან? თანაც ჩვენი შუამავალი გვეუბნება, "ის, ვისაც პატარა არ შეეცოდება და უფროსს პატივს არ სცემს, ჩვენგანი არაა."

–მართალი ხარ ზეინებ. სიმართლე რომ ვთქვათ, ყველა უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩვენი საყვარელი შუამავლის მსგავსად ვიცხოვროთ, იმას უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას, რასაც ის აქცევდა, მაგრამ...



–აი, ილქნური და გულჯანიც მოვიდნენ.

ოთხი მეგობარი ერთმანეთს ჩაეხუტა.

–ბავშვებო, ამ რძესა და ლოქუმს ჩემს სახელზე ხომ წაიღებთ? –უთხრა ბატონმა იჰსანმა ბავშვებს და შეფუთვა გადასცა. მათ ბატონ იჰსანს მადლობა გადაუხადეს, მშვიდობიანი ღამე უსურვეს და გზას გაუდგნენ.

ეს ოთხი მეგობარი სკოლის დახმარებისა და სოლიდარობის ჯგუფში იყო გაწევრიანებული. ამ შეხვედრების მოწყობა მათ შესთავაზეს მასწავლებელს.

დავრდომილთა საერთო საცხოვრებლის ეზოში მივიდნენ კიდეც.

ზეინეფმა თქვა:

–მეგობრებო ფანჯარას შეხედეთ! აიშე დეიდა, ჰატიჯე ბებია, მუსა ბაბუა, რეჯეფ ბიძა, ყველა ჩვენ გველოდება!

სირბილით ავიდნენ კიბეზე. უფროსებს ხელებზე აკოცეს, რომლებიც მისაღებ ოთახში, ფანჯარასთან ელოდებოდნენ. მოგვიანებით ერთად წავიდნენ სასადილოში. რაც მიიტანეს მაგიდებზე დააწყვეს და მათთან ერთად ისაუზმეს.

მოგვიანებით ერთად დაბრუნდნენ მისაღებ ოთახში. ზეინეფმა იმ წიგნიდან, რომელიც მოიტანა, ჩვენი შუამავლის ცხოვრება წაიკითხა. ყველა გულისყურით უსმენდა.

წიგნში ერთ ადგილას ეწერა:

"ჩვენს შუამავალს გული თანაგრძნობით, წყალობითა და ადამიანის სიყვარულით ჰქონდა სავსე. მისი თანაგრძნობა და წყალობა, მისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე ნათლად ჩანს. მისი წყალობით სავსე გული, მუდამ სიკეთისთვის ფეთქავდა. დიადი ალლაჰი ყურანი ქერიმში ასე ამბობს: "ეი მუჰამმედ! შენ სამყაროს წყალობად ხარ გაგზავნილი. (სურა ენბია, აია 107)



ზეინეფმა საუბარი რომ დაამთავრა, შეშია ჰაცივჯემ თქვა:

–შეშია თქვენს გამჩენს ენაცვალოს. თქვენ ჩვენი საყვარელი შუამავლისგან აიღეთ მაგალითი და მისი წყალობით თმილად გვეპყრობით. რა შემიძლია ვთქვა, ალლაჰი თქვენი გამზრდელით კმაყოფილი იყოს.

ზეინეფი და მისი მეგობრები იმ დღეს, შუადღემდე, იმის გაკეთებას ცდილობდნენ, რასაც სხვა ისურვებდა. მუსა ბაბუას სათვალე გასცვეხოდა და შეიბა მას გაზეთს უკითხავდა. გულჯანმა ჰაცივჯე შეშიას თმა დავარცხნა და დაუწნა. ილქნურმა აიშე დეიდას საწოლზე თეთრეული გამოცვალა და წაიღო, რომ გაერეცხა და უკან დაებრუნებინა. ამ ყველაფრის კეთებისას მათ უსმენდნენ. ყველას განსხვავებული ისტორია ჰქონდა, მაგრამ მარტოობას ყველა ერთნაირად იზიარებდა.

შუადღის მერე, ზეინეფი სახლში რომ დაბრუნდა, თავს მშვიდად გრძნობდა, მაგრამ ამ სიმშვიდეს მოწყენილობა ჩრდილავდა. ოჯახს გაუზიარა რაც გადახდა. იმანავა და სამეცადინოდ წიგნებს მიუჯდა. უნდოდა სწრაფად დაესრულებინა მეცადინეობა და საღამოს შეკრებისთვის კიდევ ერთხელ გადაევლო თვალი ჩვენი შუამავლის ცხოვრებაზე და განსაკუთრებით იმ თემებზე, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებდა.

კიდევ ერთხელ შეიკრიბა მთელი ოჯახი. ზეინეფმა ჩვენი შუამავლის სულისთვის ფათიჰა ჩაიკითხა და დაიწყო:

–თავდაპირველად მინდა მადლობა გითხრათ, იმისთვის რომ თქვენ მხოლოდ ჩვენი შუამავლის ცხოვრებას კი არ გვიხსნიდით, არამედ ცდილობდით მის მსგავსად გეცხოვრათ და ჩვენთვის მაგალითი გეჩვენებინათ, –თქვა და ბებიას,

ბაბუას, დედასა და მამას ხელზე აკოცა. ემრეც უფროსი დის მსგავსად მოიქცა. მურათმა, როგორც უფროსმა ძმამ, ამ ყველაფერში მიიღო მონაწილეობა.

ზეინეფმა გააგრძელა საუბარი:

–ჩვენი შუამავალი ძალზე გულმოწყალე იყო. ბავშვების, მოხუცების, უპატრონოების, ღარიბების და ცხოველების მიმართ მუდამ წყალობით იყო განმსჭვალული. დღესდღეობით მსოფლიოში არსებულ ძალადობას რომ ვუყურებ, უფრო მეტიც სკოლაში რომ ვხედავ, ბავშვები ერთმანეთს მუშტს როგორ ურტყამენ, არ შემიძლია არ ვიფიქრო იმ ფაქტზე, რომ ჩვენ ვამტკიცებთ ჩვენი შუამავალი გვიყვარსო. ჩვენი შუამავალი იმდენად გულმოწყალე იყო, რომ იმ ურწმუნოებსაც კი არ წყევლიდა, რომლესაც ქვას ესროდნენ ან კბილს უმტვრევდნენ და სისხლი სდიოდა.

თანაც ბავშვობიდან მოყოლებული არასდროს ცრუობდა...

ემრემ ჰკითხა:

–დაიკო იმის გამო, რომ არასდროს ცრუობდა ჩვენს შუამავალს მუჰამმედულ ემინს ანუ "სანდო მუჰამმედს" ხომ ეძახდნენ?

–დიახ ჩემო ემრე. წარმოიდგინე, ბავშვობიდან მოყოლებული არასდროს მოუცრუებია. შედეგში მიუხედავად იმისა, რომ შუამავალი იყო არასდროს იწონებდა ამით თავს, ყოველთვის თავმდაბალი იყო, –თქვა და ბაბუა ჩაერთო საუბარში:

–უფრო მეტიც, ზოგჯერ ჩვენი შუამავალიი სახლის საქმეებსაც თვითონ აკეთებდა. თავის ოთახს ალაგებდა, დახეულ ტანსაცმელს კერავდა, ფეხსაცმელი რომ გაუფუჭდებოდა, თვითონ აკეთებდა.

–მოიცა, ჩვენი შუამავალი დახეული ტანსაცმლით დადიოდა?

–რატომ გიკვირს ჩემო ემრე? ადამიანს შეიძლება დახეული ტანსაცმელი ჰქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუფთად არ აცვია. ჩვენი შუამავალ ყოველთვის

დიდ ყურადღებას უთმობდა სისუფთავეს. სხეულიც, ტანსაცმელიცა და გარემოც მუდამ სუფთა ჰქონდა, –უპასუხა

ბაბუამ. ქალაბაცონი აიფერიც ჩაერთო:

–წარმოიდგინეთ რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი შუამავალი იმ პერიოდში კბილების სისუფთავისკენ მოგვიწოდებდა, მაშინ როდესაც დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც კბილებს არ იხეხავენ.

–იმ დროს კბილის ჯაგრისი იყო?

–ჩემო ემრე, მისვაქი იყო, რომელიც კბილის ჯაგრისის ფუნქციას ასრულებდა. შარშან ხომ ჩამოვიტანე ჰაჯობიდან და გაჩვენე, დაგავიწყდა?

–ახლა გამახსენდა ბაბუა.

ბაცონი ჰაირი ზეინეფს მიუბრუნდა და უთხრა:

–ჩემო ლამაზო გოგონა, ჩვენმა შუამავალმა რამდენი რამე გვასწავლა, ხომ ასეა?

–მამიკო, მეც ამის თქმას ვაპირებდი. თუ რამე საკითხი არსებობს, რაც ადამიანს სჭირდება, ჩვენს შუამავალში ნახულობს პასუხს. მებია ჰაციჯემ, ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც ცნობისმოყვარეობით ჰკითხა შვილიშვილს:

–შენი აზრით რა არის ამის მიზეზი?

ზეინეფმა უყოყმანოდ უპასუხა:

–რა თქმა უნდა ყურანი ქერიმი. ალლაჰი ყურანი ქერიმის საშუალებით ზრდიდა ჩვენს საყვარელ შუამავალს. ის კი ყურანი ქერიმის საშუალებით მუსლიმებს ზრდის.

–დაიკო გამოდის, რომ ჩვენი შუამავალი მასწავლებლობას გვიწევს?

–სწორედ მასეა ჩემო ემრე. ალლაჰი გვიბრძანებს, რომ ყურანი ქერიმისა და ჩვენი შუამავლის დახმარებით მრავალმხრივ განსწავლული ვიყოთ.



შუამავალი ერთ–ერთ ჰადისში ასე ამბობს:

"ან სწავლული იყავი, ან ისწავლე, ან ესენი გიყვარდეს, ან კიდევ მოუსმინე. მეხუთე კატეგორიას არ მიეკუთვნო, განადგურდები."

ამ დაყოფით იმას ვხვდებით, რომ ვისაც მეცნიერებასთან და სწავლასთან საერთო არ აქვს, ის გარშემომყოფთათვის საზიანოა.

ქალბატონმა ჰაირიემ თქვა:

–ჩვენი შუამავალი ამბობს: "მეცნიერების სწავლა ყველა მუსლიმი ქალისა და კაცისთვის აუცილებელია."

ბებია ჰაციჯემ თქვა:

–ჩემო ემრე, ჩემო ლამაზო შვილო, შენ ხომ მეკითხები, თვალები რომ გეღლება, რატომ აგრძელებ კითხვას. ჩვენი შუამავალი ამბობს: "აკვნიდან სამარემდე ისწავლეთ." ანუ სწავლას ასაკი და დრო არ განსაზღვრავს.

მურათმა თქვა:

–ჩვენი შუამავალიი როგორც მუსლიმებს, ასევე სხვებსაც მეცნიერების შესწავლას უსახავს მიზნად.

როგორც კი დაასრულა, ზეინეფმა დაამატა:

–იმ პირობით, რომ ადამიანობას არ დავივიწყებთ...

დაიმახსოვრეთ!

"და არ წარგვიგზავნიხარ შენ , თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის!

(ენბია 1–7)




ჩემი და ყველაფრის გამჩენი ალლაჰი
ძვირფასი წიგნები, რომლებიც გზას გვიჩვენებენ
შუამავლები საუკეთესო მაგალითები არიან
უსასრულო ცხოვრება, მუდმივი საცხოვრებელი
მოხდება ის,